საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

27 12 2019 წ. № 372 ქ. თბილისი

კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებისა და საქართველოს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ” ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების” მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტითა და „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტითა და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს თანდართული „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი”.
2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ -საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 26 აპრილის №96 ბრძანება „პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ”.
3.ბრძანება ძალაშია სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი

გიგა ჩხეიძე

კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი

პუნქტი 1. კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი ეხება სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ეროვნული კინოცენტრი) ბიუჯეტიდან იმ ღონისძიებების დაფინანსებას, რომელიც გათვალისწინებულია „სსიპ-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულებით" და „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონით.

პუნქტი 2. ეროვნული კინოცენტრისთვის კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტითა და „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტითა და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები.

პუნქტი 3. კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანების თაობაზე განაცხადი (შემდგომ – პროექტი) ეროვნულ კინოცენტრს წარედგინება პროექტის ავტორის მიერ ღონისძიების გამართვამდე მინიმუმ 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე დანართ 1-ში და დანართი 2-ში მითითებული ფორმით. სხვა ფორმით წარმოდგენილი პროექტი არ განიხილება.

პუნქტი 4. პროექტის დაფინანსების შესახებ საკითხს განიხილავს ეროვნულ კინოცენტრში შექმნილი სათათბირო კომისია (შემდგომში - კომისია). კომისია შედგება 7 (შვიდი) წევრისგან. ის კომპლექტდება კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისგან, რომლებსაც უკავიათ შემდეგი თანამდებობა:

ა) დირექტორი;
ბ) დირექტორის პირველი მოადგილე;
გ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი;
დ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის კინოგანათლების მიმართულების მენეჯერი;
ე) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის კინოდისტრიბუციის მიმართულების მენეჯერი;

ვ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის კინომემკვიდრეობის მენეჯერი.
ზ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის ბეჭდური და ინტერნეტ-გამოცემების მენეჯერი.

პუნქტი 5. კომისია უფლებამოსილია, განიხილოს პროექტი, თუ სხდომას ესწრება კომისიის არანაკლებ 4 (ოთხი) წევრი.
სხდომის მსვლელობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს კომისიის ერთ-ერთი წევრი და ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
კომისიის წევრთა მიერ სხდომაზე გამოთქმულ აზრს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

პუნქტი 6. კომისიას უფლება აქვს, პროექტის განხილვის პროცესში მოსთხოვოს პროექტის ავტორს როგორც დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, ასევე ბიუჯეტის კორექტირება.

პუნქტი 7. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

ა) პროექტისთვის მოთხოვნილი დაფინანსების სრულად გამოყოფა;
ბ) პროექტისთვის მოთხოვნილი დაფინანსების ნაწილობრივ გამოყოფა;
გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმა.

პუნქტი 8. გადაწყვეტილება ფორმდება ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

პუნქტი 9. ეროვნული კინოცენტრის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება პროექტის ავტორს ეცნობება წერილობითი ფორმით გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

პუნქტი 10. პროექტის დაფინანსების ან ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში ოქმში განისაზღვრება იმ პირის ვინაობა, ვინც განახორციელებს კონტროლს პროექტის მიმდინარეობასა და შესრულებაზე.

დანართი1

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

საპროექტო განაცხადის ფორმა

პროექტის სათაური

განმცხადებლის სტატუსი

ფიზიკური პირი ----

იურიდიული პირი ----

1. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ სახელი: მისამართი: ტელეფონი: ელ-ფოსტა:
2. პროექტის ხელმძღვანელი სახელი: მისამართი: ტელეფონი: ელ-ფოსტა:

3. პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია • მოკლე აღწერა (პროექტის იდეა, ძირითადი პრობლემატიკა) • სამიზნე ჯგუფი • პროექტის პარტნიორები • თითოეული პარტნიორის როლი • პროექტის შესრულების ადგილმდებარეობა
4. პროექტის დეტალური აღწერა
პრობლემის განსაზღვრა
პროექტის მიზნები და ამოცანები
შესასრულებელი საქმიანობების დეტალური აღწერა
მოსალოდნელი შედეგები
აღწერეთ რა ფაქტორები განაპირობებს პროექტის ეფექტურ და წარმატებულ განხორციელებას
პროექტის მონიტორინგი და შეფასება

5. პროექტის განხორციელების განრიგი

#	საქმიანობა	1 თვე				2 თვე				3 თვე				4 თვე				5 თვე				6 თვე			
		1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
1																									
2																									
3																									
4																									
5																									
6																									
7																									
8																									
9																									
10																									
11																									
12																									
13																									
14																									
15																									
16																									
17																									
18																									
19																									
20																									

დანართი1

6. პროექტის ბიუჯეტი

სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	დაფინანსების სხვა წყაროები	კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა	სულ

დანართი 2.

Georgian National
Film Center
საქართველოს კინოგასტროგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ფესტივალის დაფინანსების განაცხადის ფორმა

ფესტივალის დასახელება

განმცხადებლის სტატუსი:

ფიზიკური პირი ----

იურიდიული პირი ----
(სახელწოდება / ორგანიზაციულ სამართლებლივი ფორმა)

1. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ სახელი: მისამართი: ტელეფონი: ელ-ფოსტა:
2. პროექტის ხელმძღვანელი სახელი: მისამართი: ტელეფონი:

დანართი 2.

ელ-ფოსტა:
3. ფესტივალის პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია • მოკლე აღწერა (პროექტის იდეა, ძირითადი პრობლემატიკა) • სამიზნე ჯგუფი • პროექტის პარტნიორები (ჩამონათვალი) • თითოეული პარტნიორის როლი • პროექტის შესრულების ადგილმდებარეობა
4. პროექტის დეტალური აღწერა
პრობლემის განსაზღვრა
პროექტის მიზნები და ამოცანები
შესასრულებელი საქმიანობების დეტალური აღწერა
მოსალოდნელი შედეგები
აღწერეთ რა ფაქტორები განაპირობებს პროექტის ეფექტურ და წარმატებულ განხორციელებას
5. გასული წლის ფესტივალის შედეგები და სტატისტიკური ინფორმაცია: • პროგრამებისა და მასში წარმოდგენილი ფილმების რაოდენობა. • მოწვეულ სტუმრებთა რაოდენობა. • • აკრედიტირებულთა რაოდენობა • ფილმებზე დასწრების სტატისტიკა. • ჩატარებული ღონისძიების რაოდენობა.

დანართი 2.

• • სპონსორები და მხარდამჭერი კომპანიების აქტივები.

დანართი 2.

6. პროექტის განხორციელების განრიგი

#	საქმიანობა	1 თვე				2 თვე				3 თვე				4 თვე				5 თვე				6 თვე			
		1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
1																									
2																									
3																									
4																									
5																									
6																									
7																									
8																									
9																									
10																									
11																									
12																									
13																									
14																									
15																									
16																									
17																									
18																									
19																									
20																									

დანართი 2.

7. პროექტის დეტალური ბიუჯეტი

სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	დაფინანსების სხვა წყაროები	კინოცენტრიდ მოთხოვნილი თანხა	სულ